Georgian National
Film Center
საქართველოს კინოკინოტეატრების
ეროვნული ცენტრი

ცნობის ფურცელი №4



2011

კინოწარმოება

მიმდინარე პროექტები

- დასრულდა სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „გაიღიმეთ" (საპროდიუსერო კომპანია -შპს „ნიკე სტუდიო", რეჟისორი -რუსუდან ჭყონია) ფილმის დახურული ჩვენება გაიმართა 27 დეკემბერს.
- დასრულდა სრულმეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „ცრუპენტელა აღმზრდელი" (საპროდიუსერო კომპანია - შპს „იქს-ეფი", რეჟისორი - დავით სიხარულიძე).
- სამონტაჟო პერიოდშია მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „უკანასკნელი წერილი" (საპროდიუსერო კომპანია - შპს „კვალი", რეჟისორი - გელა კანდელაკი).
- წარმოების პერიოდშია შპს „სანგუკოს" სრულმეტრაჟიან მხატვრული ფილმის პროექტი „თამაში", რეჟისორი ნიკა მაჩაიძე და პროექტი „ველური დღეების ქრონიკები" რეჟისორი - დავით უჯმაჯურიძე.
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „კავკასიური ქრონიკა" (საპროდიუსერო კომპანია -შპს „ბასტრა ფილმს", რეჟისორი - გიორგი ბარაბაძე).
- მოსამზადებელ პერიოდშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მანდარინები" (საპროდიუსერო კომპანია – შპს „სინემა 24", რეჟისორი - ზაზა ურუშაძე).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ჩემი საბნის ნაკეცი" (საპროდიუსერო კომპანია - შპს „ზაზარფილმი", რეჟისორი - ზაზა რუსაძე).

- მოსამზადებელ პერიოდშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „გასროლა წყალში" (საპროდიუსერო კომპანია - შპს „Polar Film ", რეჟისორი - ნანა ექვთიმიშვილი, სიმონ გროს).
- მოსამზადებელ პერიოდშია მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „თემურის შვილები" (საპროდიუსერო კომპანია - ფიზიკური პირი ზურაბ ქვირია, რეჟისორი - კოტე თაყაიშვილი).
- სამონტაჟო პერიოდშია ქართულ-ესპანური სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ჩაიკა" (საპროდიუსერო კომპანია - შპს „სინეტექი", რეჟისორი -მიგელ ანხელ ხიმენესი).
- სამონტაჟო პერიოდშია მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „სიცოცხლის ფასი" (საპროდიუსერო კომპანია - ფიზიკური პირი ლელა ჭინჭარაული, რეჟისორი - ლევან კიტია).
- გადაღების პერიოდშია მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ქართული ნაგაზი" (საპროდიუსერო კომპანია შპს „თი-სტუდია", რეჟისორი - დემნა ჯაფარიძე).
- მოსამზადებელ პერიოდშია მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „ბებო " (საპროდიუსერო კომპანია -შპს „20 STEPS Film", რეჟისორი -სანდრო ქათამაშვილი).
- მოსამზადებელ პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ფიქრი" (საპროდიუსერო კომპანია - ფიზიკური პირი ირაკლი ბაღათურია, რეჟისორი - გელა კანდელაკი)
- მოსამზადებელ პერიოდშია მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „მანქანა, რომელიც ყველაფერს გააქრობს" (საპროდიუსერო კომპანია - შპს „ალეთეა", რეჟისორი - თინა გურჩიანი).
- სამონტაჟო პერიოდშია მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „ვეფხვი და მოყმე" (საპროდიუსერო კომპანია ფიზიკური პირი - ზურაბ ქვაჩახია, რეჟისორი - მარიამ კანდელაკი).
- სამონტაჟო პერიოდშია მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „თეთრი ყვავილი და თეთრი პეპელა" (საპროდიუსერო კომპანია - შპს „ჯი-ეფ-ემ სტუდიო", რეჟისორი - მალხაზ კუხიანიძე).
- დასრულდა მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „ორი პეპელა" (საპროდიუსერო კომპანია -შპს „არტ-პარალელი", რეჟისორი -ილია დოიაშვილი).

„ჩემი საბნის ნაკეცი" – ზაზა რუსაძე

Georgian National Film Center
საქართველოს კინოეროვნული ფილმის ეროვნული ცენტრი

„სიხარულის ოდა" – მიხეილ მრევლიშვილი

„სიხარულის ოდა"

8 დეკემბერს, კინოთეატრ ამირანში, თბილისის მე-12 კინოფესტივალის ფარგლებში გაიმართა მიშა მრევლიშვილის დოკუმენტური ფილმის "სიხარულის ოდა" პრემიერა.

„სიხარულის ოდა" ეროვნული კინოცენტრის მიერ 2010 წელს დოკუმენტური ფილმის წარმოების დასაფინანსებლად გამოცხადებული კონკურსის ერთ-ერთი გამარჯვებული პროექტია. ფილმის პროექტისთვის ეროვნული კინოცენტრიდან გამოყოფილი სუბსიდია შეადგენს 45 000 ლარს.

პროექტი მიზნად ისახავს დროსა და სივრცეში გაერთიანებული მრავალფეროვანი ევროპის კონტინენტის წარმოჩენას „ევროპის ჰიმნის" მეშვეობით. ფილმის ავტორმა ევროპის დედაქალაქებში მცხოვრები ქუჩის მუსიკოსებისგან შეაგროვა ბეთჰოვენის მე-9 სიმფონიიდან („სიხარულის ოდა")ცოცხლად შესრულებული ნაწყვეტები, რომლებიც ფილმში წარმოდგენილია ერთიან მუსიაკლურ კომპოზიციად. ფილმი გადაღებულია ევროპის დედაქალაქებში ორი თვის განმავლობაში.

„მესაათე"

21 ოქტომბერს, კინოთეატრ ამირანში გაიმართა გიორგი მასხარაშვილის მხატვრული ფილმის - „მესაათე" პრემიერა. კინოსტუდია სანგუკოს წარმოება ეროვნული კინოცენტრის 2009 წლის კონკურსის გამარჯვებული პროექტია.

დეტექტივში ასახულია გახმაურებულ მკვლე-ლობათა სერია, დაკავებული ბოროტმოქმედი და საბოლოო განაჩენის მოლოდინი - ეს არის იმ დოკუმენტური ფილმის თემა, რომელზეც მთავარი გმირი - ირაკლი მუშაობს.

„მესაათე" – გიორგი მასხარაშვილი

„მარილივით თეთრი" – ქეთი მაჭავარიანი

"მარილივით თეთრი"

9 დეკემბერს, კინოთეატრ ამირანში, თბილისის მე-12 კინოფესტივალის ქართული პანორამის ფარგლებში, გაიმართა ქეთი მაჭავარიანის ფილმის "მარილივით თეთრი" თბილისური პრემიერა. ფილმი ეროვნული კინოცენტრის კონკურსის გამარჯვებულია და წარმოებისთვის სახელმწიფო სუბსიდიამ შეადგინა 145 000 ლარი.

რეჟისორის სადებიუტო ნამუშევარი მონაწილეობდა ჩეხეთში კარლოვი ვარის 46-ე საერთაშორისო კინოფესტივალის საკონკურსო სექციაში: „East of West."

ფილმი მიწვეული იყო მონრეალის, ტალინის, მანჰეიმის ფესტივალებზე. ნაჩვენები იყო კალკუტის, სკოპიეს, მონპელიესა და კოტბუსის ფესტივალების საკონკურსო პროგრამებში.

კოტბუსში ფილმი დაჯილდოვდა 2 პრიზით - რეჟისორი - საუკეთესო დებიუტისათვის და გაგი სვანიძე - მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის.

80 წუთიანი სოციალური დრამის მთავარი სათქმელია ყოველდღიური რუტინის ფონზე უჩვენოს ადამიანებს, რომ მთავარი ცხოვრებაში არ არის ყოფა და უფრო მნიშვნელოვანია სხვა რამ: განწყობა, მაღალი მატერიები, სულიერება, ოცნებები. მეტაფორულად კი ეს არის მარილივით თეთრი სანაპირო.

ფილმის მთავარი გმირია ჭიათურელი ოფიციანტი ნანა, რომელიც ზღვის სანაპიროზე მუშაობს და ჭიათურაში კაფის გასახსნელად ფულს აგროვებს. მთავარი პერსონაჟები არიან ასევე უსახლ-კარო გოგონა სოფო და პოლიციელი ნიკო, რომლებიც ნანას გზაზე იკვეთებიან. ნაჩვენებია სამი ერთმანეთისგან განსხვავებული ხასიათის მქონე ადამიანი - სამივე ცდილობს შეცვალოს თავისი ცხოვრება.

ფილმში მონაწილეობენ: ნინო ქორიძე, ფეა ცივაძე, გაგი სვანიძე, გიორგი ყიფშიძე, გიორგი გიორგანაშვილი და სხვები.

ფესტივალები

თბილისის მე-12 საერთაშორისო კინოფესტივალი

თბილისის მე-12 საერთაშორისო კინოფესტივალი 6 დეკემბერს, კინოთეატრ „ამირანში“, ალექსანდრ სოკუროვის ფილმით „ფაუსტი“ (რუსეთი, 2011) გაიხსნა. ფესტივალი თბილისში წლის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კინომოვლენაა, სადაც თავს იყრიან ქართველი და უცხოელი კინოპროფესიონალები.

კინოფესტივალის პროგრამა შედგებოდა რამდენიმე სექციისაგან:

- დამზადებულია გერმანიაში
- შვედური კინო
- თანამედროვე ამერიკული კინო
- ქართული პანორამა
- ლეო კარაქსის რეტორსპექტივა

წლევანდელი ფესტივალი საკონკურსო პროგრამის გარეშე ჩატარდა.
ფესტივალის ფარგლებში გაიმართა დოკუმენტური კინოპროექტების უორქშოფი „Pitch.doc“-ი,

ორი დღის განმავლობაში ტრეინინგს 6 სამხერთკავკასიური პროექტი გადიოდა. ტრეინინგს ნინო ორჯონიკიძე, პაულ პაუველსი და ჰანა რეჟკოვა ატარებდნენ.

საერთაშორისო კომისიამ გამარჯვებულად სამი პროექტი დაასახელა, მათ შორის ეროვნული კინოცენტრის მიერ დაწესებული ფულადი პრიზი 2500 ლარი გადაეცა ანა ციმინტიას და მიხეილ სვანიძის პროექტს სამუშაო სახელწოდებითი ბიბლიოთეკა

თაგუი ტოროსიანისა და დავით სტეპანიანის (სომხეთი) პროექტი სამუშაო სახელწოდებით „მტკვივნეული სიტყვა“ გაემგზავრება ჩეხეთში one world film festival-ის doc launch-ზე დასასწრებად.

კომისიის ერთ-ერთმა წევრმა წარმოშობით ჩილელმა და ამჟამად შვედეთში მცხოვრებმა რეჟისორმა გორკი გლასერ მიულერმა სპონტანურად დააწესა სპეციალური პრიზი და გადასცა 500 ევრო იდეის განვითარებისთვის პროექტს „ვენერა“ - ეკა ჭითანავა-მალინოვსკა და ნათია გულიაშვილი.

THE 12th TBILISI INTERNATIONAL FILM FESTIVAL

პროექტის პარტნიორები არიან გოეთეს ინსტიტუტი და თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალი, ორგანიზატორი საქდოკ ფილმი, დაფინანსებულია საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის მიერ.

ფესტივალის ქართული პროგრამიდან სპეციალური პრიზით დაჯილდოვდა ნანა ჯანელიძის ფილმი „არის იქ ნეტავ თეატრი?!“

ასევე სპეციალური დიპლომებით აღინიშნა ფილმები:

1.„ბუდე“, თორნიკე ბზიავა

2.„დედა“, ნანა ექვთიმიშვილი

3.„ბახმარო“, სალომე ჟაში

4.„მარილივით თეთრი“, ქეთი მაჭავარიანი

11 დეკემბერს, კინოფესტივალი დაიხურა ალექსანდრე მინდაძის ფილმით „შაბათ დღეს“ (რუსეთი/გერმანია/უკრაინა).

კინოფესტივალი წელსაც ტრადიციულად ეროვნული კინოცენტრის ფინანსური მხარდაჭერით გაიმართა.

ანტალიის 48-ე საერთაშორისო კინოფესტივალი „ოქროს ფორთოხალი"

თურქეთში გაიმართა (8-14 ოქტომბერი, 2011) ანტალიის 48-ე საერთაშორისო კინოფესტივალი. წელს ფესტივალის მთავარი თემა იყო: „ქალები ცვლიან სამყაროს”.

საერთაშორისო ჟიურიც დაკომპლექტებული იყო ქალებით. საუკეთესო უცხოური ფილმის გამოსავლენად შექმნილი ჟიურის წევრთა შორის იყო ეროვნული კინოცენტრის დირექტორი - თამარ ტატიშვილი. ამ სექციის ჟიურის თავმჯდომარე იყო ცნობილი დანიელი ოსკაროსანი კინორეჟისორი - მარლენ დორისი, სხვა წევრებს შორის კი იყვნენ: წარმატებული ირანელი რეჟისორი და მსახიობი ნიკი კარიმი, რომელიც კანის ფესტივალის ჟიურის წევრიც ყოფილა, თურქი პროდიუსერი და რეჟისორი ბიკეტ ილჰანი, ასევე სცენარისტი ასლი სელჩუკი.

ქართული კინო საზღვრებს გარეთ

სალომე ჯაშის ფილმის – „ბახმაროს“ წარმატება

გერმანიაში, ანიმაციის და დოკუმენტური ფილმების საერთაშორისო ფესტივალზე - DOK Leipzig, კონკურსის ჟიურის განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა ქართველმა რეჟისორმა, არაორდინალური დოკუმენტური კინოტალანტისთვის (HONORARY MENTION - for an extraordinary documentary film talent).
ახალგაზრდა ტალანტთა საერთაშორისო კონკურს - Generation DOK - ში 12 ფილმი მონაწილეობდა, მათ შორის სალომე ჯაშის „ბახმარო“.

DOK Leipzig ანიმაციის და დოკუმენტური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი ერთ-ერთი ყველაზე დიდი და წამყვანი საერთაშორისო კინოფესტივალია გერმანიაში.
ავტორი ფილმში ერთი შენობის მაგალითზე აღწერს ქვეყნის მოდელს. პატარა დეტალები და მინიმალური მოძრაობა აღწერს რთულ პოლიტიკურ და სოციალურ სიტუაციას, რომელიც გამოიხატება მზარდი ეკონომიკური კრიზისით და აღმავალი პატრიოტიზმით.

კინემატოგრაფისტის ზუსტი ვიზუალური სტილი და სივრცის განსაკუთრებული მოწყობის ხედვა, აძლევს დოკუმენტურ ფილმს უნიკალურ მხატვრულ ხელწერას.
“ბახმარო” ეროვნული კინოცენტრის ფინანსური მხარდაჭერითაა გადაღებული. სახელმწიფო სუბსიდიამ შეადგინა 25000 ლარი. ფილმის სრული ბიუჯეტია 405000 ლარი.

„ბახმარო” – სალომე ჯაში

„ჩაიკა” – მიგელ ანხელ ხიმენესი

„ჩაიკამ“ ევრიმაჟის ფონდის დაფინანსება მოიპოვა

მხატვრულმა ფილმმა „ჩაიკა“ მიიღო ევროპის საბჭოს ევროპული კინოს მხარდაჭერის ფონდის - ევრიმაჟის დაფინანსება 210 000 ევროს ოდენობით - თანხა კოპროდუქციის მხარდაჭერისთვის. ფილმის რეჟისორია მიგელ ანხელ ხიმენესი და ის შემდეგი ქვეყნების კოპროდუქციას წარმოადგენს: ესპანეთი (KINOSKOPIK), საქართველო (CINETECH), საფრანგეთი (EAUX VIVES) და რუსეთი (IBRUS). ქართულ მხარეს კოპროდუქციის 20 % ეკუთვნის. ფილმმა ეროვნული კინოცენტრის 2010 წლის კოპროდუქციის მხარდაჭერის კონკურსში გაიმარჯვა და მიიღო სახელმწიფო სუბსიდია 250 000 ლარის (110000 ევრო) ოდენობით.

ფილმის სიუჟეტი მოგვითხრობს გოგონას ისტორიას, რომელიც თევზსაჭერ გემზე ახალგაზრდა კაცთან ერთად იწყებს ხანგრძლივ მოგზაურობას. მამაკაცი მეზღვაურია, რომელიც სახლში, ყოფილი საბჭოთა კავშირის ცივ სტეპებში ბრუნდება. რეჟისორი: მიგელ ანხელ ხიმენესი. ფილმის ქართველი პროდიუსერია ზურაბ მაღალაშვილი.

თანაწარმოების ბაზრობა ტალინში

ტალინი 30 ნოემბრიდან 2 დეკემბრის ჩათვლით თანამედროვე კინოინდუსტრიის ეპიცენტრად იქცა. ტალინის „ბნელი ღამეების“ მე-15 საერთაშორისო კინოფესტივალის ფარგლებში გაიმართა კოპროდუქციის ბაზრობა „Baltic Event”, სადაც ტრადიციულად 300-მდე სტუმარი - რეჟისორები, პროდიუსერები, დისტრიბუტორები, სხვადასხვა კინოფონდის წარმომადგენლები იყრიან თავს მთელი მსოფლიოდან.

თანაწარმოების ბაზრობაზე 9 ქვეყნის 14 პროექტი მონაწილეობდა, მათ შორის ლევან კოღუაშვილის მეორე მხატვრული ფილმის პროექტი „შეყვარებული მასწავლებელი“. პროექტი შეირჩა ეროვნული კინოცენტრის ტრეინინგის „მინი იავე საქართველო“ შედეგად.

კანის ფესტივალის Marché du film პროდიუსერთა ქსელის ორი პრიზი გადაეცა დამწყებ პროდიუსერებს, რომლებსაც მაისში გადაეცემათ ფესტივალზე დასწრების აკრედიტაცია. ერთ-ერთი მათგანია ლევან კოღუაშვილი. მისი პროექტი “შეყვარებული მასწავლებელი” შერჩეული იყო კოპროდუქციის ბაზრობაში „Baltic Event.“

ეროვნული კინოცენტრის დირექტორი, თამარ ტატიშვილი, მონაწილეობდა პანელ-დისკუსიაში „ქვეყნები, რომელთა კინემატოგრაფის შესახებ დიდი ხანია არ გვსმენია“. წარმოდგენილი იყო ანალიტიკური პრეზენტაცია თემაზე: “თანამედროვე კინომოვლენები საქართველოში“. დისკუსიაში ასევე მონაწილეობდნენ აზერბაიჯანის, სასომხეთის და ყაზახეთის წარმომადგენლები.

ქართული კინოს დღეები მაკედონიაში

მაკედონიის რესპუბლიკის ქალაქ სკოპიეში კინოფესტივალ CINEDAYS-ის ფარგლებში 17-20 ნოემბერს გაიმართა ქართული კინოს დღეები. რეტროსპექტივაზე წარმოდგენილი იყო თანამედროვე ქართული კინო:

- „გაღმა ნაპირი“ (რეჟისორი - გიორგი ოვაშვილი),
- „სამი სახლი“ (რეჟისორი - ზაზა ურუშაძე),
- „ქუჩის დღეები“ (რეჟისორი - ლევან კოღუაშვილი)

ასევე კინოკლასიკად ქცეული სამი ფილმი:
- „აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“ (რეჟისორი - ვასილ ამაშუკელი),
- „ჯიმ შვანთე“ (რეჟისორი - მიხეილ კალატოზიშვილი),
- „ფიროსმანი“ (რეჟისორი - გიორგი შენგელაია)

კინოფესტივალ CINEDAYS-ის საკონკურსო პროგრამაში მონაწილეობდა ქეთი მაჭავარიანის სადებიუტო ნამუშევარი „მარილივით თეთრი“.

კინოფესტივალს მაკედონიაში სპეციალური სტუმრების სტატუსით ესწრებოდნენ ეროვნული კინოცენტრის დირექტორი - თამარ ტატიშვილი და ეროვნული კინოცენტრის დისტრიბუციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი - დავით ვაშაძე.

Georgian National Film Center
საქართველოს კინოვიდეოფონოგრაფიის ეროვნული ცენტრი

საუკეთესო კინოსცენარი – გალას დაჯილდოება

თბილისის საკრებულოს და ეროვნული კინოცენტრის ერთობლივი პროექტი

8 ოქტომბერს, ეროვნული მუზეუმის ეზოში გაიმართა ლიტერატურული პრემია „გალა 2011“-ის დაჯილდოების საზეიმო ცერემონია. ნომინაციაში „წლის საუკეთესო სცენარი“ გაიმარჯვა მაკა კუკულავას პროექტმა „ადას კინო“.

მაკა კუკულავა 28 წლის არის, მან 2011 წელს დაამთავრა შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურა (კოტე ჯანდიერის ჯგუფი).

„ადას კინო“ - მომავალი ფილმი ადამიანის შინაგან თავისუფლებასა და სიყვარულზე. სცენარი ეხება ახალგაზრდების - ე. წ. „თინეიჯერების“ პრობლემებს და ცხოვრების წესს, ოცნებების სამყაროს, რომელიც არ ემთხვევა მათივე რეალობას და ცდილობენ თავი დააღწიონ მას. სცენარში ავტორი აღწერს სამი თაობის ურთიერთობას. სიუჟეტური ხაზი მთავარი გმირის - 19 წლის ადას ირგვლივ ვითარდება, რომელიც ბაბუასთან ერთად ცხოვრობს, სწავლობს სამხატვრო აკადემიაში და ყველაზე მეტად ამქვეყნად უყვარს კინო.

მემორანდუმი ეროვნულ კინოცენტრსა და საზოგადოებრივ მაუწყებელს შორის

3 ნოემბერს, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში, ეროვნულ კინოცენტრსა და საზოგადოებრივ მაუწყებელს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.

მემორანდუმი მიზნად ისახავს, დოკუმენტური ფილმების წარმოებაში ერთობლივ მონაწილეობას, ერთიანი პოლიტიკის გატარებას საავტორო უფლებების დაცვის კუთხით და ასევე კინოს თემატიკაზე ტელეგადაცემების ერთობლივად წარმოებას.

ურთიერთთანამშრომლობა დოკუმენტური ფილმების წარმოებაში მოიცავს მაუწყებლის მიერ, კინოცენტრის 2012 წლის დოკუმენტური კინოს წარმოების დაფინანსების კონკურსში გამარჯვებული პროექტების ტექნიკითა და ტექნიკური პერსონალით მხარდაჭერას.

Film Print -ის მეორე ნომრის პრეზენტაცია

2 ნოემბერს, სასტუმრო ჰოლიდეი ინში, გაიმართა ჟურნალ Film Print-ის მეორე ნომრის პრეზენტაცია. ნომრის რედაქტორები არიან კინომცოდნეები დავით ბუხრიკიძე და გიორგი კალატოზიშვილი.

ჟურნალი ქართულ კინემატოგრაფზე კვარტალში ერთხელ გამოდის და ყოველ ნომერზე მუშაობს რედაქტორთა ახალი ჯგუფი. „Film Print“-ს ეროვნული კინოცენტრი კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით გამოსცემს.

ჟურნალის მიზანია, ქართული კინოკულტურის პოპულარიზაცია, თანამედროვე კინოპროცესების გაცნობა ფართო აუდიტორიისათვის, კინოსექტორში მოღვაწე ადამიანების ინფორმირება მათი კოლეგების მიღწევებისა და პროფესიული გეგმების შესახებ. გარდა ამისა, ჟურნალი საინტერესო იქნება სხვადასხვა სფეროში მოღვაწე მკითხველისთვისაც, რაც თავის მხრივ გამოიწვევს ზოგადი ინტერესის გაზრდას კინოს მიმართ.

Georgian National Film Center
საქართველოს კინოფასტივალების ეროვნული ცენტრი

საქართველოს ეროვნული კინოცენტრი EFP- ს წევრი გახდა (European Film Promotion)

ევროპის კინემატოგრაფის ხელშეწყობის ორგანიზაციამ (EFP) საქართველოს ეროვნული კინოცენტრი თავის რიგებში გააწევრიანა. ეს გადაწყვეტილება მიიღეს EFP- ს გენერალური ასამბლეის ბოლო სხდომაზე. საქართველო 33-ე ქვეყანაა, რომელიც მის ფილმებს და შემოქმედებას ევროპაში წარადგენს საერთაშორისო მარკეტინგულ ღონისძიებებზე. EFP- ს ფინანსური მხარდამჭერია ევროკავშირის პროგრამა"მედია".

"EFP- ს წევრობა მნიშვნელოვანი პროფესიული პრივილეგია და მიღწევაა", - აცხადებს თამარ ტატიშვილი, საქართველოს ეროვნული კინოცენტრის დირექტორი და EFP- ს წარმომადგენელი. „მისი ქსელი და საქმიანობა შესანიშნავ შესაძლებლობას იძლევა გამოვავლინოთ ქართული ფილმები და ნიჭი საერთაშორისო მასშტაბით. დარწმუნებული ვარ, ჩვენი თანამშრომლობა ხელს შეუწყობს ქართული კინოს უკეთ წარმოჩენას ევროპულ აუდიოვიზუალურ სივრცეში."

"მივესალმები საქართველოს ეროვნულ კინოცენტრს, როგორც EFP-ს ახალ წევრს",აცხადებს EFP- ს პრეზიდენტი კრისტიან იულ ლემჩე. "იმედი მაქვს, ქართული კინოინდუსტრია განვითარდება ჩვენი საქმიანობის დახმარებით და საქართველოს ეროვნული კინოცენტრი მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ჩვენი ქსელის მუშაობაში."

European Film Promotion - ორგანიზაციის შესახებ

EFP არის ხელშეწყობის და ექსპორტის ორგანიზაციების ქსელი 32 ევროპული ქვეყნისთვის. ის დააარსა 1997 წელს ათმა დამფუძნებელმა და მას შემდეგ, უკვე 15 წელია, ერთ-ერთი ლიდერია საერთაშორისო ხელშეწყობის ორგანიზაციებს შორის ევროპაში. EFP-ის ჰყავს 31 წევრი ორგანიზაცია, წარმოადგენს 32 ევროპულ ქვეყანას. ქსელი მხარს უჭერს ევროპული კინოს საერთო ინიციატივებს, ამავე დროს, ხაზს უსვამს თითოეული ქვეყნის კინემატოგრაფის ინდივიდუალიზმს და წარადგენს თვითმყოფადად საერთაშორისო კინოსივრცეში. ორგანიზაციის მთავარი მიზანია, რაც შეიძლება ბევრი კინოპროფესიონალი თუ კინოორგანიზაცია დაუკავშიროს ერთმანეთს, რაც ახალი იდეების და ურთიერთობების შედეგად საბოლოო ჯამში კინოპროდუქციის განვითარებას უწყობს ხელს.

სცენარისტების შეხვედრა პროდიუსერებთან და რეჟისორებთან ეროვნულ კინოცენტრში

21 დეკემბერს ეროვნულ კინოცენტრში გაიმართა შეხვედრა ლიტერატურული კონკურსის „გალას" მონაწილეებსა და რეჟისორებსა და პროდიუსერებს შორის. შეხვედრის მიზანი იყო კინემატოგრაფის ამ ორი მიმართულების წარმომადგენლების დაკავშირება ერთმანეთთან და სცენარის პირველივე ეტაპიდან ერთობლივ მუშაობაზე ზრუნვა. შესავალი სიტყვით შეხვედრის მონაწილეებს მიმართა ეროვნული კინოცენტრის დირექტორმა. თამარ ტატიშვილი ქართულ რეალობაში სცენარებთან დაკავშრებულ პრობლემებს შეეხო. შეხვედრაზე 17-მა სცენარისტმა დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა საკუთარი სცენარი. შეხვედრის მსვლელობისას მონაწილეებმა არაერთ პრობლამაზე ისაუბრეს და ბევრი მათგანის გადაჭრის გზებიც განიხილეს.

Georgian National Film Center
საქართველოს კინოვატოგრაფიის ეროვნული ცენტრი

www.gnfc.ge